სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება
№10-081216-01

ქ. გარდაბანი, 8 დეკემბერი, 2016 წ.

ერთის მხრივ, შპს "გარდაბნის თბოსადგური 2" (შემდგომში – "შემსყიდველი"), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მერაბ კიპაროიძის სახით, და მეორეს მხრივ, შპს „კომპანია GEOSM" წარმოდგენილი დირექტორის თეიმურაზ ახობაძის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ხელშეკრულების დანართი №1-ში გათვალისწინებული საქონლის მიწოდება, CPV 22800000; CPV 30100000; CPV 39200000; CPV 44400000 (შემდგომში - „საქონელი").

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ანგარიშსწორება ხელშეკრულების პირობებზე;
2.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
2.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია:
2.3.1. კეთილსინდისიერად და დროულად შეასრულოს მასზე ამ ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები;
2.3.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს "შემსყიდველს" ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

3. "მომსახურების" გაწევის წესი, მიღება-ჩაბარების წესი და ანგარიშსწორების პირობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული „საქონელი" **ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუსაო დღის განმავლობაში,** ქ.გარდაბანში, დ.აღმაშენებლის 2 ბ.
3.2. „საქონლის" მიწოდების დასრულებისთანავე „მიმწოდებელს" და „შემსყიდველს" შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები ან მათ მიერ წარმოდგენილი უფლებამოსილი პირები.
3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული „საქონლის" მიწოდების საერთო ღირებულება შეადგენს **2533,54** (ორი ათას ხუთას ოცდაცამეტი ლარი და ორმოცდათოთხმეტი თეთრი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით, მათ შორის დღგ.
3.4. ანგარიშსწორების განსახორციელებლად "მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი და დღგ-ს ანგარიშფაქტურა.
3.5. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლისა და შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 3.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

4.1. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვეს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4.2. „საქონლის" მიწოდების დაყოვნების შემთხვევაში "მიმწოდებელი" ვალდებულია გადაუხადოს „შემსყიდველს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე „საქონლის" მიწოდების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.
4.3. „შემსყიდველის" მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელს" უფლება აქვს დააკისროს „შემსყიდველს" პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.
4.4. მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი დარღვევის და/ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს მისი გამოსწორება გონივრულ ვადაში (რაც ფორმდება შეტყობინების სახით), ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა.
4.5. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
4.6. ზიანის ანაზღაურება და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

4.7 ხელშეკრულებიდან ვადამდე გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობა.

5. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

5.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).

5.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

5.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

5.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. "შემსყიდველს" ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელონ მომსახურების კონტროლი.

6.2. "მიმწოდებლის" მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებისა და მისი დანართების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი ინსპექტირების ჯგუფი.

6.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

6.3.1. მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების წინადებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და "შემსყიდველის" მიერ უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელის მოწერა;

6.3.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შეამოწმოს, სრულად არის თუ არა წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფორმაცია და უარი თქვას დაგვიანებით ან არასრულად მოწოდებული ინფორამციის მიღებაზე და შესაბამის ანაზღაურებაზე.

6.3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება;

6.3.4. საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა;

6.3.5. წინამდებარე ხელშეკრულების ეფექტური შესრულების მიზნით სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის გარემოებები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით.

7.2. "მიმწოდებელთან" დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად "შემსყიდველისთვის" იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2017 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.

8.2. ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები ძალაში რჩება, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

8.3. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

8.4. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ:

ა. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

ბ. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომისის, არსებითად იცვლება ხელშეკრულების პირობები.

9. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

9.1 „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული „საქონლის“ ხარისხი პასუხობს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

9.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად.

10.2. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

10.3. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება/დამატება/დანართი იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

10.4. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა ნაწილების ნამდვილობაზე.

10.5. მხარეთა მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი ცვლილება/დანართი/დამატება წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: **შპს “გარდაბნის თბოსადგური 2”** მის: **ქ.გარდაბანი, დ.აღმაშენებლის 2 ბ** ს/კ: **426529759** ბანკი: **სს „ტერა ბანკი“,** ბ/კ: **TEBAGE22** ა/ა: **GE43 KS00 0000 0340 3000 02** გენერალური დირექტორი **მ. კიპაროიძე**	**მიმწოდებელი:** **შპს „კომპანია GEOSM“** ფაქტ. მის: **ქ. თბილისი; მ. ასათიანის #14** ს/კ: **404873614** ბანკი: **სს "პროკრედიტ ბანკი"** ბ/კ: **MIBGGE22** ა/ა: **GE45PC0223600100010827** დირექტორი **თ. ახობაძე**

დანართი№1

#	კოდი	საქონლის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთ. ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	CPV-კოდები
		CPV 30100000				
1	8120	კორექტორი როლერი 6მ.	10	1.3	13	CPV 30192160
2	E39229	კალკულატორი 14 თანრიგიანი	4	14.32	57.28	CPV 30141200
3	E0021	ჭიკარტი ლურსმანი	2	0.79	1.58	CPV 30197100
4	9520	კლიპი 88მმ	8	1.28	10.24	CPV 30197100
5	E38561	საკანცელარიო კლიპი 51მმ	24	0.31	7.44	CPV 30197100
6	E38562	საკანცელარიო კლიპი 41მმ	24	0.2	4.8	CPV 30197100
7	E38563	საკანცელარიო კლიპი 32მმ	24	0.13	3.12	CPV 30197100
8	E0395	სტეპლერი 23/6-23/25 210ფ	1	34.74	34.74	CPV 30197100
9	E0416	სტეპლერი 24/6-26/6	2	6.57	13.14	CPV 30197100
10	E0312	სტეპლერი 24/6-26/6	2	3.38	6.76	CPV 30197100
11	E0229	სტეპლერი '10	2	2.07	4.14	CPV 30197100
12	E0010	სტეპლერის ტყვია '10	20	0.25	5	CPV 30197100
13	E0232	ანტისტეპლერი	4	1.01	4.04	CPV 30197321
14	E0027	სტეპლერის ტყვია 24/8	10	0.36	3.6	CPV 30197100
15	E0014	სტეპლერის ტყვია 23/23	1	2.07	2.07	CPV 30197100
16	E0013	სტეპლერის ტყვია 23/13	1	0.9	0.9	CPV 30197100
17	E0120	სახვრეტელი 40 ფურცელზე	1	11.36	11.36	CPV 30197330
18	SW-VLL-Y	ტექსტმარკერი ყვითელი PILOT V-Light	2	2.27	4.54	CPV 30192125
19	SW-VLL-O	ტექსტმარკერი ნარინჯისფერი PILOT V-Light	2	2.27	4.54	CPV 30192125
20	SW-VLL-G	ტექსტმარკერი მწვანე PILOT V-Light	2	2.27	4.54	CPV 30192125
21	SW-VLL-P	ტექსტმარკერი ვარდისფერი PILOT V-Light	2	2.27	4.54	CPV 30192125
22	S600	ტექსტმარკერი	16	0.6	9.6	CPV 30192125
23	SW-FL-Y	ტექსტმარკერი საშლელით ყვითელი PILOT FriXion Light	2	1.67	3.34	CPV 30192125
24	SW-FL-O	ტექსტმარკერი საშლელით ნარინჯისფერი PILOT FriXion Light	2	1.67	3.34	CPV 30192125
25	SW-FL-G	ტექსტმარკერი საშლელით მწვანე PILOT FriXion Light	2	1.67	3.34	CPV 30192125
26	SW-FL-P	ტექსტმარკერი საშლელით ვარდისფერი PILOT FriXion Light	2	1.67	3.34	CPV 30192125
27	E0616B	მექანიკური სათლელი	1	4.61	4.61	CPV 30192133
28	E58100	ფანქარი საშლელით 2B	24	0.2	4.8	CPV 30192130
29	EE-C10	საშლელი Pilot	1	1.28	1.28	CPV 30192100
30	P45-125	გვერდის მოსანიშნი 5ფ 12*45	10	0.71	7.1	CPV 30199720
31	E5443	სამდივნო დაფა ა4 ორყდიანი	2	8.06	16.12	CPV 30193900
32	E5440	სამდივნო დაფა ა4, ორფრთიანი	2	5.77	11.54	CPV 30193900
33	E38252	სამაგიდე ნაკრები - ორგანაიზერი, 17 საგნიანი	4	16.86	67.44	CPV 30193000
34	E9200	საკანცელარიო ჭიქა განყოფილებებით, მეტალის ბადე	1	14.69	14.69	CPV 30192000
35	E2042	საკანცელარიო დანა დიდი	1	2.52	2.52	CPV 301973100

36	E6209	დრეკადი სახაზავი 30სმ	2	1	2	CPV 301319400
37	E811	სკოჩის მოსახევი	1	1.8	1.8	CPV 30192700
38	E30940	უხილავი სკოჩი 18მმX25მ.	3	0.5	1.5	CPV 30192700
39	E39712	სკრეპი მეტალის 33მმ	4	0.48	1.92	CPV 30197200
40	E39713	სკრეპი მეტალის 50მმ	2	1.32	2.64	CPV 30197200
41	8745	მაგნიტური თეთრი დაფა ჯრიანი ზედაპირით 90*120	2	69.73	139.46	CPV 30195920
42	E7830	დაფის სადგამი გორგოლაჭებზე	1	130.5	130.5	CPV 30195920
43	E7836	დაფის მაგნიტი 4-იანი	1	1.26	1.26	CPV 30195920
44	E7834	დაფის საშლელი მაგნიტური	1	1.77	1.77	CPV 30195921
45	E7837	დაფის საშლელი	1	1.37	1.37	CPV 30195921
46	WBMA-VBM-M-L	დაფის მარკერი ლურჯი PILOT V-Board Master	1	2.33	2.33	CPV 30192125
47	WBMA-VBM-M-B	დაფის მარკერი შავი PILOT V-Board Master	1	2.33	2.33	CPV 30192125
48	WBMA-VBM-M-G	დაფის მარკერი მწვანე PILOT V-Board Master	1	2.33	2.33	CPV 30192125
49	WBMA-VBM-M-O	დაფის მარკერი ნარინჯისფერი PILOT V-Board Master	1	2.33	2.33	CPV 30192125
50	WBMA-VBM-M-R	დაფის მარკერი წითელი PILOT V-Board Master	1	2.33	2.33	CPV 30192125
51	BPP-GPL-F-L	ბურთულიანი კალამი ლურჯი PILOT SUPERGRIP LIGHT FINE	10	0.84	8.4	CPV 30192121
52	BPP-GPL-F-B	ბურთულიანი კალამი შავი PILOT SUPERGRIP LIGHT FINE	10	0.84	8.4	CPV 30192121
53	LS-8F-R	კალამი გელით წითელი PILOT GEL Ink Roller	10	1.21	12.1	CPV 30192121
54	308	კალამი შნაიდერი K15	10	0.79	7.9	CPV 30192121
55	BLRT-FR7-L	საშლელიანი კალამი გელით ლურჯი PILOT FriXion Ball Clicker 0.7mm	2	3.72	7.44	CPV 30192121
56	BLRT-FR5-L	კალამი გელით ლურჯი PILOT FriXion Ball Clicker	2	3.72	7.44	CPV 30192121
57	E5778	სავიზიტე დივაიდერებით 180 ცალზე	2	5.82	11.64	CPV 30199731
58	7623	პლასტმასის სამაგიდე სავიზიტე	4	1.63	6.52	CPV 30199731
59	7629	ჯიბის სავიზიტე	2	5.53	11.06	CPV 30199731
60	LY-9102	მეტალის ურნა ბადისებური	4	5.3	21.2	CPV 30191000
61	3214	ფულის რეზინა 50გრ	2	2.07	4.14	CPV 30192000
		ჯამი CPV 30100000			**756.54**	
		CPV 22800000				
62	G2040	ბაინდერი განიერი ა4	50	2.08	104	CPV 22851000
63	G040	ფაილი A4 40მიკრ. 100 ცალიანი	30	3.75	112.5	CPV 22852100
64	7689	ბლოკნოტი ზამბარით ა4, 80ფ	15	3.15	47.25	CPV 22816100
65	A03A	წებოვანი ჩასანიშნი 75*75, 100 ფურცლიანი	24	0.52	12.48	CPV 22816300
		ჯამი CPV 22800000			**276.23**	
		CPV 44400000				
66	E4025	სეიფი - მექანიზმი: გასაღებით და თითის ანაბეჭდით - გარე ზომა 670x430x400მმ	1	1427	1427	CPV 44421300
		ჯამი CPV 44400000			**1427**	
		CPV 39200000				

67	E9000	კედლის საათი კვადრატული 25სმ*25სმ	3	21.59	64.77	CPV 39254100
68	E6003	მაკრატელი 17.5სმ	5	1.8	9	CPV 39241200
		ჯამი CPV 39200000			**73.77**	
		საერთო ჯამი			**2533.54**	

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ს

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. გარდაბანი 08.12.2016 წ.

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა, შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-სა და შპს „კომპანია GEOSM“ -ს შორის 2016 წლის 8 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №10-081216-01-ის გაფორმება არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

გენერალური დირექტორი მ. კიპაროიძე